

Programme

Ludwig van Beethoven

Concerto for Violin and Orchestra in D Major, Op. 61

The Beethoven Violin Concerto in D Major is one of the most celebrated and iconic works in the violin concerto repertoire. Its enduring appeal lies in its exceptional combination of lyricism, drama, and virtuosity. Beethoven composed it in 1806 and its premiere took place on 23 December 1806, in the Theater an der Wien in Vienna. It was mostly because of this quite unsuccessful premiere that the work languished in obscurity for the next four decades. Interestingly, it was performed by the leading violinist of his time Franz Clement who asked Beethoven to write a violin concerto for him. Though, Beethoven finished the Concerto just two days before the premiere and Clement had to sight-read the opening performance. Besides, contrary to convention, Beethoven did not write a cadenza – an unaccompanied bravura passage introduced usually at the end of the first movement - and Clement most likely improvised on the spot. The lack of adequate rehearsal gave the Violin Concerto a bad reputation which could be overcome only in 38 years. In 1844, a 12-year-old violin virtuoso Joseph Joachim, who would become one of the most significant violinists in history, played it to great acclaim with the orchestra of the London Philharmonic Society conducted by Felix Mendelssohn. He continued to advocate the work. As Robert Schumann wrote, it was Joachim's "skilful hand" that "led us through the heights and depths of that marvellous structure which the majority explore in vain," turning the D -major Violin Concerto into an essential repertory item.

Robert Schumann

Symphony No. 2 in C Major, Op. 61

Robert Schumann composed his Symphony No. 2 in 1845-1846. At the time of its creation, Schumann was living in Dresden suffering from persistent "nervous prostration". Upon commencing work, Schumann was plagued by sudden fits of shivering and an overwhelming fear of death. He developed an aversion to heights, all metallic objects, and even medications. Additionally, Schumann's diaries reveal that he constantly suffered from auditory hallucinations. It was under these conditions that he created his Third Symphony, identified as Number Two as a result of

publication order. In October 1846, as Schumann completed the score, he remarked: "I was in bad shape physically when I began the work, and was afraid my semi-invalid state could be detected in the music. However, I began to feel more myself when I finished the whole work". Nevertheless, he acknowledged that the Symphony remained a "souvenir of a dark period," alluding to the challenging emotional struggles he experienced during its composition. "It is music of light and shade, sunshine and shadow...The first movement is full of my struggle and in its character it is capricious and refractory... It is very peevish and perverse in character... Sometimes I fear my semi-invalid state can be divined from the music," he wrote. Despite inner struggles, the symphony is marked by moments of hope, exuberance, and joy, showcasing Schumann's ability to experience and express through music truly Beethovenian spiritual triumph over fate. The Second Symphony premiered on November 5, 1846, in the Leipzig Gewandhaus with Felix Mendelssohn conducting. Although the premiere was not successful, today, Symphony No. 2 is regarded as one of Schumann's masterpieces, cherished for its expressive power, innovation, and rich orchestration. It continues to be a beloved and frequently performed symphony in the Romantic orchestral repertoire.

Meanwhile in Georgia...

In 1846, when Schumann completed the score of his Second Symphony, in Georgia died Alexander Chavchavadze. Alexander Chavchavadze (1786-1846) was a prominent Georgian poet, military leader, and public figure during the 19th century. He was a key figure in Georgian literature and played a significant role in the country's cultural and social life. Chavchavadze was part of the Georgian aristocracy and came from the noble Chavchavadze family. He is also known for his association with the Tsinandali Estate, which played a significant role in his life. He inherited the estate from his father, Garsevan Chavchavadze, and it became his primary residence. Alexander Chavchavadze was not only a talented poet but also a military commander. He was known for his progressive views and efforts to modernize and improve Georgian society. He advocated for education, reforms, and the preservation of Georgian cultural heritage. Chavchavadze's literary works were heavily influenced by Romanticism and often depicted themes of love, patriotism, and the beauty of Georgia's landscapes. He is considered the founder of Georgian Romanticism, one of the most important figures in Georgian literature, and remains highly revered in the country's cultural history.

პროგრამის შესახებ

ტექსტის ავტორი ნინო ჟვანია

ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი

კონცერტი ვიოლინოსა და ორკესტრისათვის რე მაჟორი, თხზ. 61

ბეთჰოვენის რე-მაჟორული სავიოლინო კონცერტი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და საკულტო ნაწარმოებია სავიოლინო რეპერტუარში. მისი უკვდავი პოპულარობის მიზეზი მდგომარეობს ლირიზმის, დრამატიზმისა და ვირტუოზულობის განსაკუთრებულ კომბინაციაში. ბეთჰოვენმა კონცერტი 1806 წელს დაწერა და მისი პრემიერა შედგა იმავე წლის 23 დეკემბერს ვენის თეატრში. სწორედ ამ წარუმატებელი პრემიერის გამო კონცერტი მომდევნო ოთხი ათწლეულის განმავლობაში მივიწყებულ იქნა. საინტერესოა, რომ შეასრულა კონცერტი თავისი დროის წამყვანმა მევიოლინემ ფრანც კლემენტმა, რომელმაც დაუკვეთა კიდევ ბეთჰოვენს სავიოლინო კონცერტი. თუმცა, კომპოზიტორმა ნაწარმოები პრემიერამდე მხოლოდ ორი დღით ადრე დაასრულა და კლიმენტს კონცერტზე ფურცლიდან კითხვა მოუწია. გარდა ამისა, ბეთჰოვენმა უღალატა საკუთარ ჩვეულებას და არ დაწერა კადენცია - ვირტუოზული პასაჟებით გაჯერებული მონაკვეთი, რომელიც, როგორც წესი, პირველი ნაწილის ბოლოს სრულდება - და კლემენტს, სავარაუდოდ, ადგილზე მოუწია იმპროვიზება. კონცერტის ცუდი რეპუტაციის გამოსწორება მხოლოდ 38 წლის შემდეგ მოხდა. 1844 წელს 12 წლის ვირტუოზმა მევიოლინემ იოზეფ იოახიმმა, რომელიც ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მევიოლინედ შევა, შეასრულა კონცერტი ლონდონის ფილარმონიული საზოგადოების ორკესტრთან ერთად, რომელსაც ფელიქს მენდელსონი დირიჟორობდა. შესრულებამ დიდი მოწონება დაიმსახურა, მევიოლინემ კი განაგრძო კონცერტის პოპულარიზება. როგორც რობერტ შუმანიმ აღნიშნა, სწორედ იოახიმის „დაოსტატებული ხელები წარგვიძღვა იმ გასაოცარი სტრუქტურის სიმაღლეებისა და სიღრმეების შესწავლისას, რომელსაც უმრავლესობა უშედეგოდ იკვლევს“. მას შემდეგ ბეთჰოვენის შედევი სავიოლინო რეპერტუარის განუყოფელ ნაწილად იქცა.

რობერტ შუმანი

სიმფონია No. 2 დო მაჟორი, თხზ. 61

რობერტ შუმანიმ თავისი მეორე სიმფონია

1845-1846 წლებში დაწერა. მისი შექმნის დროს

შუმანი დრეზდენში ცხოვრობდა და „ნერვული პროსტრაციით“ იტანჯებოდა. როგორც კი მუშაობას იწყებდა, შუმანს ეწყებოდა კანკალი და ეუფლებოდა სიკვდილის შიში. მას ასევე განუვითარდა შიში სიმაღლის, ლითონის საგნებისა და წამლების მიმართ. გარდა ამისა, შუმანის დღიურები ცხადყოფს, რომ მას მუდმივად აწუხებდა სმენითი ჰალუცინაციები. სწორედ ამ პირობებში შექმნა მან თავისი მესამე სიმფონია, რომელიც გამოქვეყნების თანმიმდევრობის შედეგად მეორე ნომრად შევიდა მუსიკის ისტორიაში. 1846 წლის ოქტომბერში, როდესაც შუმანმა დაასრულა პარტიტურაზე მუშაობა, მან აღნიშნა: „როცა მუშაობა დავიწყე, ფიზიკურად ცუდ ფორმაში ვიყავი და მეშინოდა, რომ ჩემი ნახევრად ინვალიდური მდგომარეობა მუსიკაში გამოვლინდებოდა. თუმცა, მუშაობის დასრულებისთანავე, დავუბრუნდი საკუთარ თავს“. მიუხედავად ამისა, შუმანმა აღიარა, რომ ეს სიმფონია მისთვის „ბნელი პერიოდის სუვენირი“ იყო, რაც მიუთითებს იმ რთულ ემოციურ მდგომარეობაზე, რომელშიც ის მისი შექმნის დროს იმყოფებოდა. „ეს არის შუქისა და ჩრდილის, მზისა და სიბნელის მუსიკა... პირველი ნაწილი ეს ჩემი ბრძოლებია და თავისი ხასიათით ის ჟინიანი და უდრეკია... ის თან ძალიან ანჩხლი და გარყვნილი ხასიათისაა... ხანდახან მგონია, რომ ჩემს ნახევრად ინვალიდურ მდგომარეობას ჩემივე მუსიკა განაპირობებს“, - წერდა შუმანი. შინაგანი ბრძოლების მიუხედავად, სიმფონიაში ვხვდებით იმედისა და სიხარულის ეპიზოდებს. როგორ სჩანს, შუმანმა შეძლო განეცადა და მუსიკით გამოეხატა ჭეშმარიტად ბეთჰოვენისეული ტრიუმფი ძლიერი სულისა ბედზე. მეორე სიმფონიის პრემიერა შედგა 1846 წლის 5 ნოემბერს ლაიფციგის გევანდაუსში ფელიქს მენდელსონის დირიჟორობით. მიუხედავად იმისა, რომ პრემიერა არ იყო წარმატებული, დღეს მეორე სიმფონია განიხილება შუმანის ერთ-ერთ შედევრად. მისი ექსპრესიული ძალის, ინოვაციური ბუნებისა და მდიდარი საორკესტრო ფერების გამოისობით ის კვლავაც ბევრისთვის საყვარელი და ხშირად შესრულებადი სიმფონიაა.

ამ დროს საქართველოში...

1846 წელს, როდესაც შუმანმა დაასრულა თავის მეორე სიმფონიაზე მუშაობა, საქართველოში გარდაიცვალა ალექსანდრე ჭავჭავაძე. ალექსანდრე ჭავჭავაძე (1786-1846) იყო XIX საუკუნის გამოჩენილი ქართველი პოეტი, სამხედრო პირი და საზოგადო მოღვაწე. ის ასევე გახლდათ ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი

უმნიშვნელოვანესი ფიგურა, რომელიც უდიდეს როლს თამაშობდა ქვეყნის კულტურულ და სოციალურ ცხოვრებაში. ქართული არისტოკრატის წარმომადგენელი ალექსანდრე ჭავჭავაძე ასევე ასოცირდება წინანდლის მამულთან. მან ის მამისგან, გარსევან ჭავჭავაძისგან მემკვიდრეობით მიიღო და ის თავის მთავარ რეზიდენციად აქცია. ალექსანდრე ჭავჭავაძე არა მხოლოდ ნიჭიერი პოეტი, არამედ სამხედრო მეთაურიც გახლდათ. იგი ცნობილი იყო თავისი პროგრესული შეხედულებებით და მუდმივად იღწვოდა ქართული საზოგადოების მოდერნიზაციისთვის. ის ემხრობოდა საგანმანათლებლო რეფორმებს და ქართული კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისთვის იბრძოდა. ალექსანდრე ჭავჭავაძე ითვლება ქართული რომანტიზმის ფუძემდებლად, ქართული ლიტერატურის ერთ-ერთ უდიდეს ფიგურად, რომელსაც ქვეყნის კულტურის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია.



31-10 September
August 2023

5TH ANNIVERSARY

PROGRAMME NOTES
BY NINO JVANIA